ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ფ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 160/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი თ. უ.ე /სიითი #/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. უ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 ნოემბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ფ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. უ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას სამოქალაქო დავა ჰქონდა მეუღლესთან - დ. გ.-სთან, რომლის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ½ წილზე მესაკთრედ ცნობა, განქორწინება, აგრეთვე, თანაცხოვრების განმავლობაში აღებული ვალის მეუღლეთა საერთო ვალად აღიარება. საჩივრის ავტორის სასარჩელო მოთხოვნა იყო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფა, თანხის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის ინტერესებს საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, თავდაპირველად წარმოადგენდნენ ადვოკატები: ბ. ბ. და ი. კ.. 2017 წლის 26 სექტემბერს მ. ფ.-ს და ადვოკატ თ. უ.-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რის შემდგომაც, ის ზემოაღნიშნულ ადვოკატებთან ერთად წარმოადგენდა მ. ფ.-ის ინტერესებს.

1.3 2018 წლის მაისის თვეში საჩივრის ავტორი და მისი მეუღლე მორიგდნენ და მათ სასამართლოში საქმის მოსამზადებელ ეტაპზე უარი განაცხადეს მათ მიერ წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნებზე, რის საფუძველზეც, 2018 წლის 28 მაისს სასამართლომ განჩინებით შეწყვიტა საქმისწარმოება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 10 ივლისს ადვოკატმა თ. უ.-მ იურიდიული მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებიდან არსებული მოთხოვნები დაუთმო თავის მეუღლეს - მ. გ.-ს, რომელმაც 2018 წლის 13 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით მ. ფ.-ის წინააღმდეგ და მოითხოვა 100 243 ლარის დაკისრება. მ. გ.-ს სარჩელი ემყარება 2017 წლის 25 სექტემბერს საჩივრის ავტორსა და ადვოკატ თ. უ.-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. კერძოდ, აღნიშნული წერილობითი შეთანხმების მიხედვით, „კლიენტი ვალდებულია ადვოკატს გადაუხადოს ანაზღაურება 2 ეტაპად: პირველი ეტაპი - 5000 ლარი ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, მე-2 ეტაპი: 7 პროცენტი, რომელიც გადაიხდევნება დაკმაყოფილებული მოთხოვნის ღირებულებიდან; კლიენტი ვალდებულია ადვოკატის ჰონორარი გადაიხადოს სრულად იმ შემთხვევაშიც, თუ საქმე მორიგებით დასრულდება, კლიენტი უარს იტყვის სარჩელზე, გამოიხმობს სარჩელს, ცნობს სარჩელს, ცნობს სარჩელს სრულად ან ნაწილობრივ ან სხვაგვარად დასრულდება კლიენტსა და მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის დავა“.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. უ.-მ ისე გააფორმა ხელშეკრულება, რომ არ განუმარტა ანაზღაურების გამოთვლის წესი და ანაზღაურების განაკვეთი, მათ შორის, არ შეუთანხმებია ხელშეკრულების პირობები და მოსალოდნელი შედეგი, არ უჩვენებია ხელშეკრულების პროექტი და მასთან ოფისში ყოფნის დროს, საჩივრის ავტორს გადასცა პირდაპირ ხელმოსაწერად. საჩივრის ავტორს ხელშეკრულება არ გადაუკითხავს ისე მოაწერა ხელი და დატოვა ადვოკატის ოფისი, რის შემდგომაც, ტელეფონის მეშვეობით, დაუკავშირდა ადვოკატ თ. უ.-ს მეუღლე და აცნობა, რომ მას პირველ ეტაპზე ჰონორარის სახით გადასახდელი ჰქონდა 5000 ლარი, რაზეც უპასუხა, რომ ის „ბავშვობანას არ დაიწყებდა“ და ნახა ხელშეკრულებაში აღნიშნული პუნქტი, სადაც მითითებული იყო 5000 ლარი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მხოლოდ ზეპირსიტყვიერად ჰქონდა განმარტებული, რომ საადვოკატო მომსახურების დაწყებისთვის საჭირო იყო 5000 ლარი, რომელიც მოთხოვნისთანავე გადაუხადა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ის თავის მეუღლესთან სამოქალაქო დავას მოიგებდა, მისი მოლოდინი იყო, რომ ადვოკატი მოსთხოვდა მას წარმატების ჰონორარს.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ადვოკატი მას დავის მორიგებით დასრულების შემთხვევაშიც, მოსთხოვდა დამატებით ჰონორარის გადახდას. მ. ფ.-ის განცხადებით, დავის პირველ ინსტანციაში წარმოებისთვის 5000 ლარის გადახდა საკმარისი იყო. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ხელშეკრულებაში მითითებული პირველი პუნქტის ქვემოთ აღნიშნული მე-2 პუნქტი, რაც ეხებოდა ჰონორარის გადახდის მეორე ეტაპს - წაიკითხა, კერძოდ დაინახა, რომ ეწერა „7 პროცენტი", თუმცა ის ვერ წარმოიდგენდა, თუ ამ ოდენობის თანხის გადახდა მოუწევდა, რადგან სამოქალაქო დავები მიმდინარეობდა 4 სამოქალაქო საქმეზე, აქედან ორ დავაზე მოსარჩელე მხარეს თავად წარმოადგენდა, ხოლო დანარჩენ ორზე - საჩივრის ავტორის მეუღლე - დ. გ.. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ჰონორარის გადახდის ოდენობა ოთხივე სამოქალაქო საქმიდან გამომდინარე გამოითვალა.

1.9 ადვოკატი თ. უ. განაწყენდა, როდესაც შეიტყო, რომ დავა მორიგებით სრულდებოდა და საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ დავის შეწყვეტა არ ღირდა. საჩივრის ავტორის მეუღლემ ადვოკატ თ. უ.-ს დამატებით შესთავაზა 5000 აშშ დოლარის გადახდა, რაზეც ადვოკატმა კატეგორიული უარი განაცხადა და მოითხოვა 40 000 აშშ დოლარი ან კომერციული ფართი, ვინაიდან იცოდა, რომ საჩივრის ავტორის მეუღლე სამშენებლო საქმიანობაში იყო ჩართული.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატი თ. უ. საერთო ახლობლის მეშვეობით გაიცნო, რომელმაც თავდაპირველად განუცხადა, რომ „ის მოელაპარაკებოდა ადვოკატს" და ჰონორარის მცირე ოდენობით გადახდა მოუწევდა და არა იმ პირობებით, რაც შემდგომში, ხელშეკრულებაში ეწერა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმეთა წარმოების ეტაპზე, ოთხივე საქმე გაერთიანდა და წარმოების შეწყვეტამდე ჩატარდა ოთხი სასამართლო სხდომა. მორიგების შესაბამისად, მ. ფ.-ის და მისი მეუღლის ქონებრივი მდგომარეობა უცვლელი დარჩა, რის გამოც, ადვოკატის მიერ ასეთი ოდენობის ჰონორარის მოთხოვნა არაეთიკურია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 07 დეკემბერს ადვოკატმა თ. უ.-მ წერილობითი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, 2017 წლის 15 სექტემბერს მან მ. ფ.-სთან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატის ანაზღაურება 2 ეტაპად უნდა გადახდილიყი. პირველ ეტაპზე 5000 ლარის ოდენობით, მე-2 ეტაპზე 7 პროცენტი, რომელიც გადაიხდება მოთხოვნის ღირებულებიდან, აღნიშნული ჰონორარი გადაიხდება საქმის დასრულებისთანავე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მ. ფ.-სთან გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში აღნიშნულია: „კლიენტი ვალდებულია ადვოკატის ჰონორარი გადაიხადოს სრულად, იმ შემთხვევაში, თუ საქმე მორიგებით დასრულდება, კლიენტი უარს იტყვის სარჩელზე, გაიხმობს სარჩელს, ცნობს სარჩელს სრულად ან ნაწილობრივ ან სხვაგვარად დასრულდება კლიენტსა და მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის დავა".

2.3 2018 წლის 28 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, მხარეებს შორის წარმოება შეწყდა მორიგებით, რის შედეგადაც, მ. ფ.-ის სახელზე აღირიცხა ის უძრავი ქონება, რის ½ წილსაც ითხოვდა მისი მოპასუხე. ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად ამისა, საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა ჰონორარის გადახდაზე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან კვალიფიციურად გაუწია მ. ფ.-ს საადვოკატო მომსახურება 4 სამოქალაქო საქმეზე, გარდა ამისა, დ. გ. ითხოვდა შვილების ნახვის უფლებას, რაც ადვოკატმა თ. უ.-მ კლიენტთან შეთანხმებით გაასაჩივრა. ადვოკატმა მოითხოვა სოციალური მუშაკის აცილება და მ. ფ.-სთან ერთად განახორციელა არაერთი შეხვედრა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში. საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან დოკუმენტების მოძიებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვა ევალებოდა მ. ფ.-ს, თუმცა ადვოკატმა თ. უ.-მ თავად დაფარა აღნიშნული ხარჯები.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მ. ფ.-ს მისი ყოფილი მეუღლე ედავებოდა ყველა უძრავ და მოძრავ ქონებას, რაც მ. ფ.-ის სახელზე იყო რეგისტრირებული და შეძენილი იყო მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში. ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორის მეუღლე - დ. გ. მოიგებდა სამოქალაქო საქმეს, მ. ფ. დაკარგავდა არამხოლოდ სოლიდურ ქონებას (უძრავი ქონებების ½), არამედ დაეკისრებოდა დ. გ.-ს მიერ ოჯახის საერთო ინტერესებისთვის აღებული საერთო ვალიდან 455 000 აშშ დოლარის ნახევრის და ნაწილობრივ უკვე გადახდილი საერთო ვალის 160 000 აშშ დოლარის ნაწილის - 80 000 აშშ დოლარი გადახდა დ. გ.-ს სასარგებლოდ.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მ. ფ.-მ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება წაიღო და ხელმოწერილი დააბრუნა ერთი კვირის შემდგომ. ადვოკატის თქმით, მან ზეპირი ფორმით დეტალურად განუმარტა საჩივრის ავტორს ანაზღაურების წესი, გრაფიკი და პრინციპები, რაც აისახა ხელშეკრულების მე-4 მუხლში, სადაც ეტაპებადაა მოცემული ჰონორარის წესი, პირობები და განაკვეთი. შესაბამისად, მას ჰქონდა გონივრული ვადა, რომ სრულად გაეაზრებინა ხელშეკრულების თითოეული პუნქტი, ამასთან მ. ფ. პროფესიით იურისტია და ის წლებია მუშაობს ერთ-ერთ ბანკში, რის გამოც, მისთვის სახელშეკრულებო ურთიერთობაში გარკვევა და შესაბამისი მუხლის სწორად ინტერპრეტირება არ უნდა ყოფილიყო პრობლემა. იურიდიული მომსახურების განხორციელების პერიოდში საჩივრის ავტორს არცერთხელ გამოუთქვამს პრეტენზია „ადვოკატის ჰონორარის ანაზღაურების“ ნაწილში.

2.7 ადვოკატის განმარტებით, იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება მ. ფ.-სთან გაფორმდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, მხარეთა ნების გამოხატვისა და ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში და ხეშეკრულების ბათილობის საკითხის შეფასება არის სასამართლოს კომპეტენცია და მსჯელობის საგანი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. უ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ. ფ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 16 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. უ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა საჩივრის ავტორს მ. ფ.-ს არ მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ საადვოკატო მომსახურების განხორციელების რომელ ეტაპზე რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა და როგორი გრაფიკით;

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. უ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ “.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.8. მუხლი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“.

5.3 ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია არამხოლოდ მის მიერ გასაწევ და შესრულებულ იურიდიული მოქმედებების თაობაზე, არამედ, ურთიერთობის დაწყების ეტაპიდანვე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმისწარმოებისთვის საჭირო ხარჯების თაობაზე, მათ შორის გადასახდელი ჰონორარის ოდენობაზე.

5.4 ეთიკის კომისიის პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილობითი ფორმით შედგეს შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე.

წერილობითი შეთანხმება ადვოკატისა და კლიენტისათვის თანაბრად უპირატესია, რადგან კონკრეტულად ჩანს, რა იყო შეთანხმების საგანი, რა ოდენობის ჰონორარის გადახდაზე შეთანხმდნენ მხარეები. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დადგინდეს კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარება და რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის ამაში.

5.5 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი.

5.6 ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“(ეთიკის კომისიის 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N094/11)

5.7 „ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება მისი საქმის წარმოების შესახებ და, ბუნებრივია, ასეთი განმარტების შედეგად, თუკი მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან, რადგან ყოველთვის უნდა იცოდეს კლიენტმა, რამდენად შეწვდება ის ფინანსურად სამართლებრივ მომსახურებას, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული ინტერესის მისაღწევად“. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 009/14, 18 აპრილი, 2014 წელი)

5.8 განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციების და მტკიცებულებების მიხედვით ირკვევა, რომ 2017 წლის სექტემბრის თვიდან, შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატი თ. უ. პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა მ. ფ.-ის ინტერესებს ოთხ მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე. აღნიშნულ სამოქალაქო დავებში მ. ფ.-ის მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდა მისი მეუღლე დ. გ.. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეთა განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე, მხარეებმა იშუამდგომლეს მორიგების გამო, საქმეთა წარმოების შეწყვეტის თაობაზე (2018 წლის 28 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ - ს.ფ.38).

5.9 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მან ადვოკატს საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპზე ჩაურიცხა ჰონორარის სახით 5000 ლარი მასთან გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, თუმცა მოდავე მხარესთან მორიგების და დავის წარმოების შეწვეტის შემდგომ, ადვოკატმა თ. უ.-მ მას მოსთხოვა დამატებით ჰონორარის გადახდა მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

5.10 საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, მართალია, ის არ უარყოფს რომ ხელი მოაწერა ადვოკატის მიერ მისთვის გადაცემულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას, თუმცა ხელმოწერამდე ადვოკატმა არ განუმარტა შეთანხმების პირობები, მათ შორის საჩივრის ავტორისთვის ადვოკატს ზეპირი ფორმით არ განუმარტავს ჰონორარის გადახდის ეტაპები, კერძოდ, აღნიშნული პუნქტი: „კლიენტი ვალდებულია ადვოკატს გადაუხადოს ანაზღაურება ორ ეტაპად, მათ შორის, მე-2 ეტაპი: 7 პროცენტი, რომელიც გადაიხდევნება დაკმაყოფილებული მოთხოვნის ღირებულებიდან; კლიენტი ვალდებულია ადვოკატის ჰონორარი გადაიხადოს სრულად იმ შემთხვევაშიც, თუ საქმე მორიგებით დასრულდება, კლიენტი უარს იტყვის სარჩელზე, გამოიხმობს სარჩელს, ცნობს სარჩელს, ცნობს სარჩელს სრულად ან ნაწილობრივ ან სხვაგვარად დასრულდება კლიენტსა და მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის დავა“ (იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება - პუნქტი 4.1. - ს.ფ.15). საჩივრის ავტორი უთითებს, რომ პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის ეტაპზე 5000 ლარის გადახდა ჰონორარის სახით საკმარისი იყო და მისთვის არ იყო მოსალოდნელი, რომ დამატებით ასეთი ოდენობის სახით მოუწევდა ადვოკატისთვის ჰონორარის გადახდა. ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებს და უთითებს, რომ საჩივრის ავტორისთვის, როგორც მისი კლიენტისთვის წინასწარ იყო ცნობილი ჰონორარის გადახდის ოდენობა და საჩივრის ავტორს ჰონდა შესაძლებლობა გაცნობოდა დეტალურად იურიდიული მომსახურების თაობაზე შეთანხმების პირობებს(იხ. პუნქტი: 2.5).

5.11 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატი და კლიენტი თავად წყვეტენ ჰონორარის რა ოდენობაზე შეთანხმდნენ და რომელ ეტაპზე, რა გრაფიკით მოხდეს მომსახურების საფასურის გადახდა, თუმცა ამავე დროს, ადვოკატს აკისრია პროფესიული ვალდებულება შეთანხმებამდე, კლიენტს განუმარტოს საადვოკატო მომსახურების პირობები, მათ შორის მიაწოდოს ინფორმაცია ჰონორარის გადახდის ოდენობის თაობაზე, საქმისწარმოების რომელ ეტაპზე, რა ხარჯების გაწევა მოუწევს კლიენტს. საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება წარმოადგენს კლიენტის ნების გამოხატვას, ანდობს მის საქმეს ადვოკატს. შესაბამისად, კლიენტის მოლოდინია, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად და პროფესიული ვალდებულებების დაცვით წარმოადგენს მის ინტერესებს, მათ შორის მიაწოდებს ინფორმაციას საადვოკატო მომსახურების პირობების შესახებ სრულყოფილად, წინასწარ განუმარტავს ჰონორარის ოდენობას, რაც ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვას წარმოადგენს.

5.12 მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება, რომ საჩივრის ავტორმა მ. ფ.-მ ხელმოწერით დაადასტურა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და ამავე დროს, ადასტურებს, რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის მან წაიკითხა ჰონორარის გადახდის ეტაპები. საჩივრის ავტორის ახსნა-განამრტებით დასტურდება, რომ მან ჰონორარის გადახდის ოდენობის თაობაზე ინფორმაცია მიიღო ადვოკატ თ. უ.-ს მეუღლისგანაც. საჩივრის ავტორის განმარტებიდან ირკვევა, რომ ის იცნობდა ხელშეკრულების პირობებს, თუმცა მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა თანხის ის ოდენობა, რომელიც მე-2 ეტაპზე შეთანხმების შესაბამისად ადვოკატისთვის უნდა გადაეხადა.

5.13 საჩივრის ავტორმა, როგორც კლიენტმა გარიგების დადების ნება გამოხატა და მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის დასადასტურებლად, რომ საჩივრის ავტორის მიერ შეთანხმებაზე ნების გამოხატვას წინ უძღვოდა ისეთი გარემობები, რომლის გამოც, საჩივრის ავტორს არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა ხელშეკრულების პირობებს, კერძოდ, ადვოკატმა სრულყოფილად არ მიაწოდა ინფორმაცია ჰონორარის გადახდის თაობაზე და შეუზღუდა მას აღნიშნულის თაობაზე მისგან მიეღო დეტალური განმარტება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სახეზეა ადვოკატის მხრიდან ეთიკური ვალდებულებების დარღვევა, რადგან არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რითიც დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა არასწორი ან არასრული ინფორმაცია მიაწოდა მ. ფ.-ს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების რომელიმე პირობის თაობაზე.

5.14 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ეთიკის კომისიის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს შეაფასოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობის საკითხი, რომლის თაობაზე მსჯელობაც სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

5.15 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №160/18 ადვოკატ თ. უ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/